ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 25-86

10 აგვისტო
"---" -------- 2018 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-96 დადგენილებაში (ვებგვერდი - www.matsne.gov.ge; გამოქვეყნების თარიღი 05/01/2015, სარეგისტრაციო კოდი 020080150.35.101.016098) და:

1. დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51^3 მუხლით, 53^3 მუხლით, 55-ე მუხლით, 55^2 მუხლით, 55^3 მუხლით, 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 151-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 152-ე მუხლით, 152^2 მუხლით, 173^5 მუხლითა და საქართველოს ორგანული კანონის –

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის ნაწილში საარჩევნო პლაკატების უკანონოდ ჩამოხსნის, ჩამოხევის, დაფარვის ან დაზიანების დარღვევებზე სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლება აქვთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საამისოდ უფლებამოსილ მოსამსახურეებს.“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი 2-ის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი მოსამსახურე ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51^3 მუხლით, 53^3 მუხლით, 55-ე მუხლით, 55^2 მუხლით, 55^3 მუხლით, 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 151-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 152-ე მუხლით, 152^2 მუხლით და 173^5 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, ასევე საქართველოს ორგანული კანონის – „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის ნაწილში საარჩევნო პლაკატების უკანონოდ ჩამოხსნის, ჩამოხევის, დაფარვის ან დაზიანების სამართალდარღვევებზე.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 28 აგვისტოდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**